ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N72
Cpv კოდები: 39715210 ცენტრალური გათბობის აღჭურვილობა

სოფ. წინამძღვრიანთკარი **15 მარტი, 2023 წელი**

ერთის მხრივ, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი (შემდგომში - შემსყიდველი), მისი დირექტორის თეიმურაზ ასათიანის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ნოვა'' (შემდგომში- მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ედიშერ ხიმშიშაშვილის სახით ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს'' ქვეპუნქტისა და სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის სამეურნეო მართვის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის N287287 საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია კოლეჯის „სახელმწიფო ბიუჯეტის“ დაფინანსების ფარგლებში, ცენტრალური გათბობის აღჭურვილობის სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, რომელიც მოცემულია ცხრილ N1-ში.

ცხრილი N1

#	არტიკული	შტრიხ-კოდი	დასახელება	რ-ობა	ერთ.	ფასი	თანხა
1	1809190	8009902170639	რადიატორის ვენტილი კუთხური 1/2 R5X033	12	ცალი	29,4000	352,80
2	1809377	8009902179489	რადიატორის უკუსარქველი კუთხური 1/2 R16X033	12	ცალი	18,7000	224,40
3	1823570	2009990137114	ქურო პირდაპირი 20x1/2"M 9423001 KAS	12	ცალი	3,1000	37,20
4	1812925	2009990063260	პანელური რადიატორი 600*1100 BELO	2	ცალი	250,0000	500,00
5	1812943	2009990063185	პანელური რადიატორი 600*1200 BELO	2	ცალი	273,0000	546,00
6	1820874	2009990108084	პანელური რადიატორი 600*1800 BELO	2	ცალი	400,0000	800,00
7	1826132	2009998686980	ლოგარის ყუთი 40*40	4	ცალი	60,0000	240,00
8	1011774	2000000084732	გოფრირებული მილის მუხლი 100მმ 90გრ	7	ცალი	8,3000	58,10
9	1014994	2000000193045	გოფრირებული ძილის ქურო 100მმ	5	ცალი	2,8500	14,25
10	1800013	4052836157201	გადამყვანი კან. 110-50 მმ	1	ცალი	4,0000	4,00
11	1014868	2000000194301	IZOCAM საიზოლაციო მილი (ფოლგიანი) 35x10x2000მმ	120	მეტრი	1,7000	204,00
12	1009371	2000000066868	ელექტრო სადენი პუგნპ 2X2.5	100	მეტრი	2,3000	230,00
13	1008441	2000000061658	ელექტრო სადენი პუგნპ 3X2.5	100	მეტრი	3,4000	340,00
						სულ თანხა:	**3 550.75**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **3550.75 (სამი ათას ხუთას ორმოცდაათი ლარი და 75 თეთრი)** ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით;

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას **შემსყიდველი** უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.
4.2. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, რ. აგლაძის ქ. N45.
4.3. საქონლის მიწოდება განხორციელდება, ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
4.4. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
4.5. საქონლის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება, სასაქონლო ზედნადების ატვირთვის მომენტიდან, რომლის საფუძველზეც ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლები.
5.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირებასა და კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდიანტორი - ირაკლი კუპატაძე.
5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში.
6.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება სასაქონლო ზედნადების ატვირთვის მომენტიდან, **10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.**

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
7.1.1 შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
7.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
7.2.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
7.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
7.4.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
8.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
8.3. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;
8.4 იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ განახორციელებს მიმწოდებელთან ანგარიშსწორებას, მას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

8.5 მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

8.6 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი;

8.7 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

8.8 შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ მიწოდების საბოლოო ვადის 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

8.9 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით;

8.10 ამ მუხლის 8.8 პუნქტში მითითებული რომელიმე გარემოებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება;

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2023 წლის 30 სექტემბრის** ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდებისას მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას და კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირი ადასტურებს, რომ მისი მონაწილეობა წინამდებარე ხელშეკრულების ინსპექტირების და კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებლის მიმართ ინტერესთა კონფლიქტში არ იმყოფება

_____.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი"; ქ. მცხეთა, სოფელი წინამძღვრიანთკარი; საიდენტიფიკაციო კოდი: 236098851 სახელმწიფო ხაზინა; კოდი: TRESGE22; ელ. ფოსტა: tmkcollege@tmk.edu.ge; მობ.: 577-21-50-90; 577-21-50-91;

დირექტორი თეიმურაზ ასათიანი

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „ნოვა"; ს/კ: 202358126; მისამართი: თბილისი, რ. აგლაძის N45; საბანკო რეკვიზიტები: ს.ს "თიბისი ბანკი"; ბანკის კოდი:TBCBGE22 ; ანგ.ნომერი: GE05TB7483836050100001

გენერალური დირექტორი ედიშერ ხიმშიაშვილი

Digitally signed by:
Edisher Khimshiashvili
(61010016369)
Certified by Signify

(ხელმოწერა)